პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევის ანგარიში

2025 ხარისხის მენეჯერი:ნინო დვალი

კვლევის შესავალი

- კვლევა დაიგეგმა და ჩატარდა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმზე დაყრდნობით, 2025 წლის ხარისხის გეგმის შესაბამისად. კვლევის მიზანია სასწავლო პროცესში ჩართული მხარეებისგან უკუკავშირის მიღება, რომელსაც კოლეჯი გამოიყენებს საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით.

კვლევის მეთოდოლოგია

- კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდით, ონლაინ გამოკითხვის ფორმატში Google Forms-ის მეშვეობით. გამოყენებული იყო ღია და დახურული ტიპის კითხვების კომბინაცია, რომელიც უზრუნველყოფდა ინფორმაციის სიღრმისეული ანალიზის შესაძლებლობას. გამოკითხვის დროს სრულად დაცული იყო თითოეული პროფესიული სტუდენტის კონფიდენციალურობა. პროფესიულ სტუდენტებს Google Forms-ის ლინკი მიეწოდათ დახურული Facebook ჯგუფების მეშვეობით. კვლევაში მონაწილეობა მთლიანად ნებაყოფლობითი იყო. პროფესიულ სტუდენტებს მიეცათ ორი კვირის ვადა კითხვარის შევსებისთვის.

კვლევის მიზანი

- კვლევის მიზანია, გამოავლინოს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილება კოლეჯის სასწავლო პროცესთან და სასწავლო გარემოსთან მიმართებით

კვლევის ამოცანები:

- 1. გამოიკვლიოს პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების ხარისხი კოლეჯში არსებულ სასწავლო პროცესებთან დაკავშირებით;
- 2. დაადგინოს პროფესიულ სტუდენტთა სერვისებით კმაყობილების დონე (ინფორმირებულობა და მომსახურება);
- 3. დაადგინოს პროფესიული სტუდენტების კმაყოფილება მატერიალური/სასწავლო რესურსებისა და ინფრასტრუქტურის შესახებ;
- 4. დაადგინოს პროფესიულ სტუდენტთა შეხედულება კოლეჯში მათი უფლებების დაცვასთან დაკავშირებით.

კვლევის შეზღუდვები

- კვლევაში მონაწილეობა მიიღო შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის 40 პროფესიულმა სტუდენტმა, რაც წარმოადგენს კოლეჯის მთლიანი სტუდენტური კონტინგენტის (187 პროფესიული სტუდენტი) 21%-ს.

კვლევის შედეგები:

1.იღებთ თუ არა კოლეჯში ხარისხიან განათლებას

პროფესიული სტუდენტების 94.9% დადებითად შეაფასა, 5.1% -მა მეტ-ნაკლებად



გააკეთეთ კომენტარი რატომ ფიქრობთ ასე ?

- მომწონს ლექციებზე დასწრება და ძალიან სამართლიანად მიმდინარეობს მოდულების დადასტურება.
- უმაღლესი ხარისხის სწავლა და დასწრებაა რაც განაპირობა პროფესიულ ლექტორების,საუკეთესოთ მასალის გადმოცემამ...❤️❤️
- იმიტომ ვფიქრობ ასე რომ ჩვენი ლექტორები ყოველთვის დავდაუზოგავად შრომობენ ჩვენთვის
- ვფიქრობ ეს, საუკეთესო ლექტორების დამსახურებაა.
- თბილ გარემოა ოდნასავ საკმარისად ვიღებთ
- სწავლების მაღალი დონეა
- იმიტომ რომ კოლეჯი თბილ გარემოს და ხარისხიან განათლებას გვაწვდის
- აუდიტორია არის კომფორტული, გვაქვს წვდომა ლიტერატურასთან(როგორც ფიზიკურად, ასევე ელ. ვერსიების ფორმატში) და სწავლება შეიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტს.

გააკეთეთ კომენტარი რატომ ფიქრობთ ასე ?

- თვენს კოლეჯში საუკეთესო განათლებას იმიტომ ვიღებ, რომ აქ თანამედროვე სასწავლო პროგრამები, კვალიფიციური მასწავლებლები და კეთილმოწყობილი გარემო ერთიანდება. სწავლა პრაქტიკაზეა ორიენტირებული, რაც მეხმარება მიღებული ცოდნის რეალურ ცხოვრებაში გამოყენებაში. კოლეჯი მუდმივად ცდილობს ჩემს პროფესიულ ზრდასა და წარმატებაზე ზრუნვას.
- საუკეთესო ლექტორები გვიზიარებენ ცოდნას,ამიტომ მათი ლექციები საინტერესო და მართლაც ხარისხიანია.
- უფრო მეტ ზოგად საგნებს ვსწავლობთ ვიდრე,პროფესიასთან დაკავშირებულს.
- ჩვენს კოლეჯის საუკეთესო ლექტორებს აქვთ იმდენი განათლება და რესურსი რომ სრულფასოვნად ჩაგვიტარონ ლექცია და გაგვიაზიარონ თავიანთი ცოდნა იდეალურად!
- საუკეთესო პედაგოგები ყავთ
- საუკეთესო კოლეჯია.საუკეთესო ლექტორები რომლებიც ზრუნავენ ჩვენზე გადმოგვცეს მეტი ცოდნა
- ყველაფერია სტუდენტზე მორგებული

2 . შეესაბამება თუ არა მიღებული ცოდნა თქვენს მოლოდინებს?

პროფესიული სტუდენტების 59. % კმაყოფილია, 33.3% თვლის, რომ შედეგი მოლოდინზე მეტია, 5.1 % თვლის, რომ მეტ-ნაკლებად შეესაბამება მოლოდინს ,არა თვლის 1 რესპოდენტი



3. იცნობთ თუ არა კოლეჯის ვებ-გვერდს ?

94.9%-მა დააფიქსირა, რომ იცნობს კოლეჯის ვებგვერდს 5.1% მეტ-ნაკლებად



4. იყენებთ თუ არა კოლეჯის ელექტრონულ ფოსტას სწავლის ან ინფორმაციის მიღებისსაჭიროესათვის?

პროფესიული სტუდენტების 61.5 % დააფიქსირა პასუხი დიახ, მეტ-ნაკლებად 33.3 %, არა 14.3%, არ იყენებს 2 რესპოდენტი



5. ვინ გაწვდით ინფორმაციას სასწავლო პროცესთან დაკავშირებით? (შეგიძლიათ აირჩიოთ რამოდენიმე ვარიანტი)

სტუდენტების 87.2 % თვლის, რომ პროგრამის ხელმძღვანელიაწვდის ინფორმაციას,
69.2% - სასწავლო პროცესის მენეჯერი
10.3% - სხვა პროფესიული სტუდენტი
41% - მოდულის განმახორციელებელი
17.9 % - ხარისხის მენეჯერი



6.როგორ ეცნობით სასწავლო ცხრილს? (შეგიძლიათ აირჩიოთ რამოდენიმე ვარიანტი



7. დაწერეთ რა მიზეზით ვერ იღებთ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ინფორმაციას

- არ მაქვს მიზეზი.ყველაფერს ძალიან კარგად ვიგებთ ჩვენი ჯგუფების საშუალებით.
- ყველანაირი ინფორმაცია,სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია.
- მსგავსი შემთხვევა არ მქონია
- მე ვიღებ იმფორმაციას
- ასეთი რამ არარსებბობს
- ვიღებ.
- არ მაქვს მიზეზი
- არ მაქვს პასუხი

8. შეაფასეთ სასწავლო გარემო და ინფრასტრუქტურა (მაგ. აუდიტორიები,სარეკრეაციო სივრცეები და ა.შ)

პროფესიული სტუდენტების 89.7 % სრულიად კმაყოფილია,
10.3 % ნაწილობრივ



9. შენობაში უზრუნველყოფილია ინტერნეტმომსახურება

რესპონდენტთა 56.4 % სრულიად კმაყოფილია, 28.2% - ნაწილობრივ, 15.4 % არ არის კმაყოფილი



10.სასწავლო აუდიტორიები მოწესრიგებული და სუფთაა

პროფესიული სტუდენტების 87.2 % კმაყოფილია, 12.8 % ნაწილობრივ



11.საპირფარეშო სუფთაა ,ყოველთვის დევს საპონი, ქაღალდი

პროფესიული სტუდენტების 76.9 % ადასტურებს, 20.5% თვლის, რომ ნაწილობრივ, 2.6 % არა



12. იყავით ჩართული ღონისძიებაში, რომელიც ჩატარდა კოლეჯის ბაზაზე? (შეგიძლიათმონიშნოთ რამოდენიმე ვარიანტი)



13. რომელ ღონისძიებებაში ჩაერთვებოდით ?

- ექსკურსია
- საექსკურსიო
- ვგეგმავთ და გვექნება უამრავი ლამაზი ღონისძიება,მათ შორის,უახლოეს მომავალში ექთნის დღესთან დაკავშირრბით იგეგმება...
- სპორტული
- სპორტულ ღონისძიებებში
- ინტელექტუალური ხასიათის თამაშებში
- ყველაში
- რომელიც საინტერესო იქნებოდა ჩემთვის.
- სპორტულში.
- ვერ ვაკონკრეტებ
- ექთნის დღესთან დაკავშირებით
- სპირტულ-გამაჯაბსაღებელი
- ალბად ყველგან რაც კოლეჯში იგეგმება

14. კოლეჯი აწყობს შეხვედრებს დარგის სპეციალისტებთან და პოტენციურდამსაქმებლებთან

პროფესიული სტუდენტების 97.4% ადასტურებს, 2.6 % მეტ-მაკლებად



15. კოლეჯი პერიოდულად აწვდის ინფორმაციას პროფესიულ სტუდენტებს რეგიონშიარსებული ვაკანსიების შესახებ

პროფესიული სტუდენტების 92.3 % ადასტურებს, 5.1 % - ნაწილობრივ, 2.6 % % არა



16. კოლეჯი გეხმარებათ რეზიუმეს, სამოტივაციო წერილისა და გასაუბრებისთვის მომზადებაში?

პროფესიული სტუდენტების 79.5 % ადასტურებს, 12.8 % - მეტ-მაკლებად, 7.7 - % არა



17. იცნობთ პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობებს



18.მიგიმართავთ თუ არა სამედიცინო დახმარებისთვის?

რესპონდენტთა 71.8 % არ მიუმართავს დახმარებისათვის სამედიცინო პუნქტისათვის თუმცა იცის სად მდებარეობს, 15.4 %-ს მიუმართავს, 12.8 % მეგობარს მიუმართავს და იცის სად მდებარეობს



19.შეაფასეთ მიღებული სამედიცინო მომსახურება



20 . სარგებლობთ ბიბლიოთეკის მომსახურებით?



21. შეაფასეთ ბიბლიოთეკის მუშაობა

რესპონდენტთა 76.9% ბიბლიოთეკის მუშაობას აფასებს დადებითად, 10.3 % აფასებს სისწრაფეს, 2.6 % თვლის რომ საკმარისი წიგნებია, 10.3% ვერ აფასებს



22. პროფესიული სტუდენტთა შეფასების სისტემა ობიექტური და გამჭვირვალეა



23. გაგისაჩივრებიათ თუ არა შედეგი, რომელიც თქვენი აზრით არ იყო სამართლიანი

რესპონდენტთა 97.4%-ს არ გაუსაჩივრებია შედეგები, 2.6% პროცენტმა გაასაჩივრა



24. ზამთრის პერიოდში ხდება თუ არა შენობის გათბობა

25. შეაფასეთ გათბობის ხარისხი შენობაში



26. განათება საკმარისია სასწავლო ოთახებში?



27. დაცულია უსაფრთხოების ნორმები?



28.ადმინისტრაციის რომელ რგოლს მიმართავთ ყველაზე ხშირად (შეგიძლიათ მონიშნოთრამოდენიმე პასუხი

ყველაზე ხშირად პროფესიული სტუდენტები მიმართავენ პროგრამის ხელმძღვანელს მოდულის განმახორციელებელ პირს და სასწავლო პროცესის მენეჯერს



29. რას შეცვლიდით კოლეჯში?

- არაფერს
- თითქმის არაფერს.
- პირიქით,ვიტყოდი კიდევ მეტად განვითარდეს და გამოზარდოს უამრავი პროფესიული სტუდენტი.
- ინტერნეტის მომსახურეობად და საპირფარეშოსსმივაქცევდი მეტ ყურადღებას
- არაფერს.
- არაფერს იდეალურია ყველაფერი
- მე მაკმაყოფილებს არ შევცვლიდი არაფერს
- აუდიტორიაში,სველი წესით მოხდეს ყოველდღე დასუფთავება
- არაფერს კოლეჯში ჩემთვის იდიალური გარემოა.
- ამ ეტაპზე არაფერს. სპორტულ დარბაზს მეტ ინვერტალს შევძენდი. საპირფარეშოს კარებს შევცვლიდი (არიკეტება) და სხვა...
- ამ ეტაპზე არაფერს
- არაფერს, შევცვლიდი სრულად მაკმაყოფილებს ყველაფერი.

დასკვნა

- კვლევის მიხედვით, უმრავლესობა პროფესიული სტუდენტებისა დადებითად აფასებს კოლეჯში მიღებულ განათლებას. სტუდენტების კომენტარებში ხაზგასმით აღინიშნება:პროფესიული განათლების მასწავლებლების მაღალი კვალიფიკაცია: "საუკეთესო მასწავლებლები გვიზიარებენ ცოდნას"თბილი სასწავლო გარემო: "კოლეჯი თბილ გარემოს და ხარისხიან განათლებას გვაწვდის„"სწავლა პრაქტიკაზეა ორიენტირებული„
- სტუდენტები კმაყოფილნი არიან ინფორმაციის მიღების სხვადასხვა არხებით: სოციალური გვერდის და ელექტრონული ფოსტის საშუალებით, Facebook-ის დახურულ ჯგუფებში, ეფექტურ საშუალებად ინფორმაციის გავრცელებისთვის.

დასკვნა

- პროფესიული სტუდენტების შეფასებით სასწავლო აუდიტორიები აღწურვილია შესაბამისი ინვენტარით და საშუალებას იძლევა მაღალი სასწავლო ხარისხის მისაღებად. ზამთრის პერიოდში გათბობის ხარისხი დადებითად შეფასდა .
- პროფესიული სტუდენტების უმრავლესობამ იცის სად არის სამედიცინო დახმარების ოთახი, იშვიათად მიმართავენ სამედიცინო დახმარებას, მაგრამ ამ მომსახურების მიმღები სტუდენტები კმაყოფილნი არიან მიღებული დახმარებით.
- ბიბლიოთეკის მომსახურებაზე საერთო კმაყოფილების მაღალი დონე დაფიქსირდა.

დასკვნა

- პროფესიული სტუდენტების ნაწილი აღნიშნავს ინტერნეტ კავშირის ხარისხის გაუმჯობესების საჭიროებას.
- რამდენიმე პროფესიული სტუდენტი აღნიშნავს სისუფთავის გაუმჯობესების საჭიროებას საპონისა და ქაღალდის მუდმივ მარაგს
- •პროფესიული სტუდენტები სურვილე გამოთქვავენ ჩაერთონ ექსტრაკურიკულ აქტივობებში როგორიცაა:
- სპორტული ღონისძიება
- ექსკურსია
- დარგის სპეციალისტებთან შეხვედრები

დასკვნა

- კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ სტუდენტები საერთო ჯამში კმაყოფილები არიან კოლეჯით. განსაკუთრებით დადებითად აფასებენ ლექტორების კვალიფიკაციას, სასწავლო გარემოსა და ადმინისტრაციის მუშაობას. გამოვლენილი გამოწვევების მოგვარება კიდევ უფრო გაზრდის სტუდენტთა კმაყოფილების დონეს.
- პროფესიული სტუდენტთა მოსაზრებები ადასტურებს, რომ კოლეჯში ძირითადად კარგი მდგომარეობაა, თუმცა რამდენიმე კონკრეტულ სფეროში გაუმჯობესება საჭიროა. ეს ცვლილებები შეძლებს კიდევ უფრო ხარისხიანი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას.

რეკომენდაცია

- რეკომენდირებულია კოლეჯმა გაამახვილოს ყურადღება შემდეგი მიმართულებით:
- ტექნიკური მომსახურება ინტერნეტ კავშირი: საჭიროა ინტერნეტ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება
- ტექნიკური აღჭურვილობა: მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ტექნიკურ საშუალებებს ჰიგიენური პირობებს - საპირფარეშოს, აუდიტორიებში ყოველდღიური სველი წესით დასუფთავების ორგანიზება
- სპორტული აღჭურვილობა: ახალი ინვენტარის შეძენა